



# სათემო ლიდერთა ვიზუმი 2019

14 - 18 თქცომჭკი. ნინანღალი

## თემის განვითარების წმომეობა

1995 წელს დავაფუძნეთ საზოგადოებრივი ორგანიზაცია, „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“ და დარსების დღიდან ჩვენი გუნდი ორიენტირებულია ისეთ შედეგებზე, რომელიც პოზიტიურ ცვლილებებს მოუტანს, როგორც ცალკეულ ადამიანებს, ისე მოელს საზოგადოებას. წლების განმავლობაში ვმუშაობთ სხვადასხვა მიმართულებით, როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ დონეზე.

ორგანიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს თემის განვითარება, რომლის ფარგლებშიც 1998 წლიდან ვმუშაობთ რეგიონებში სამოქალაქო ინსტიტუტების ფორმირებასა და გაძლიერებაზე. აღნიშნული პროგრამის მიზანია, ადგილობრივი ლიდერების საინიციატივო ჯგუფების შექმნა/გაძლიერება, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, ადგილობრივ დონეზე არსებული პოტენციალის უკეთ რეალიზება, თემის განვითარებაში ქალების ჩართულობის გაზრდა და მათი სამოქალაქო ლიდერებად ჩამოყალიბება.

## ღონისძიების ზოგადი მიმობილვა

თემის განვითარების პროგრამის ფარგლებში, 2011 წლიდან ორგანიზებას ვუწვეთ სათემო ჯგუფებისა და ორგანიზაციების ერთობლივ შეხვედრებს. წლიდან წლამდე ღონისძიების ფორმატი დაიხვეწა, უფრო მასშტაბური ხასიათი მიიღო და 2016 წლიდან სათემო ლიდერის ფორუმად ჩამოყალიბდა.

ღონისძიების მიზანია, სათემო ორგანიზაციების საქმიანობის პოპულარიზაცია, სათემო ორგანიზაციებს შორის კონტაქტების დამყარება, წარმატებული გამოცდილების გაზიარება, სათემო ჯგუფებისთვის აქტუალური საკითხებზე ინფორმაციის მიწოდება და განხილვა.

წლებანდელი ღონისძიება საინტერესოა როგორც თემატური სესიებით, ასევე კონკურსით, რომელიც 2018-2019 წლების საუკეთესო სათემო ინიციატივას გამოავლენს. კონკურსის ფარგლებში რამდენიმე სათემო ორგანიზაცია აუდიტორიას წარუდგენს მათ მიერ განხორციელებულ სათემო ინიციატივებსა თუ პროექტებს. აღნიშნული კონკურსი უკვე სამი წელია იმართება და მისი მიზანია, სათემო ინიციატივებისა და პროექტების პოპულარიზაცია, ასევე სათემო ორგანიზაციების წახალისება და მოტივაციის ამაღლება. კონკურსის ფარგლებში, ღონისძიების დღის ბოლოს საზეიმოდ გამოვლინდება და დაჯილდოვდება აუდიტორიის სამი რჩეული ჯგუფი.

## ღონისძიების აქმაღერი სესიები მოიცავს ჯემდეგ საკითხებს

- ☀ ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სათემო ინიციატივების დაფინანსების მუნიციპალური მექანიზმები;
- ☀ გენდერული პოლიტიკა სახელმწიფოში - ქალი და ეკონომიკა;
- ☀ სოფლის განვითარების გამოწვევები და პერსპექტივები.

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა

ფინანსური მხარდაჭერები

